პასი ერთი შაური. კვირა, 30 იანვარი, 1911 წ. № 4.

შინაური საქმეები.

ყოველ-კვირეული გაზეთი.

წლიური ფასი სამი მანეთი.

ყოველ-კვირეული გაზეთი.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: 1) ქუთაისი, 30 ინვარი; — **ხელისა**; — 2) სინამდვილე სახარებისა; — 3) ქართული საეკლესიო გალობა **მღ. რ. ხუნდაძისა**; — 4) მოხსენება პროფ. **ა. ა. ცაგარლისა**; — 5) ბუნება და ადამიანი **ტ. ჯაფარიძისა**; — 6) წაღმა-უკუღმა **კ. წუთისოფლელისა**.

ქუთაისი, 30 ინვარი.

„უპატრონო ქოხს ეშმაკები დაეპატრონეო“, ნათქვამია და ასე გვემართება ჩვენ ქართველებს და ჩვენ ძველ დიდებამონასტერ-ეკლესიებს. და ვინ არის დანაბული ამაში? ისევ ჩვენ, ჩვენი უგულობა, ჩვენი დაუდევრობა, ჩვენი გულგრილობა. წასულ ნომერში მოუვანილმა ბ. სულიერის შენიშვნამ სწორეთ საგონებელში ჩაგვაგდო და დაგვაფიქრა ჩვენ ეროვნულ განძეულობის მომავალზე. წარმოგვიდგა თვალწინ სხვა და სხვა ეკლესია-მონასტრები, რომლებიც ჩამოგვერთვა და სადაც დღეს ერთი სიტყვაც ქართული არ ისმის, გავითვალისწინეთ დღევანდელი

ყოველ-კვირეული გაზეთ

შინაური საქმეებზე „ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სასტუმროდან — გაზეთის შესასვლელი № 17). და თბილისში კომანდენტურ სიმსხლის ბაზაში, საბანაფლის შუშას ბაზაზეში. გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირეობისთვისა და მარიამობისთვისა, როცა გაზეთი სულ არ გამოვა. ბ. ხელის მოწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: 3 მანეთი. | ნახ. წლით: 2 მანეთი. | გაზეთი ღებულობს ყოველგვარ განცხადებებს.

თბილისის ქართულ ეკლესიების მდგომარეობა და სასოწარკვეთილების ცეცხლი მოგვედვა. მართლა და რას წარმოადგენს დღევანდელი ქართული ეკლესიები თბილისში? ქვაშვეთი,—ეს ძველი დიდება, ცარიელია, მგონი აღდგომასაც, კვირაუქმე დღეებში ორიოდ იმერელს თუ დაინახავ შიგ, მის მეზობელ ეკლესიებში—სამებაში და კალობანში მარტოდა მღვდლები დარჩენილან, ანჩი ხატს მხოლოდ „ანჩიხატობას“ ნახულობენ და ასე მთელი ეკლესიები რომ ჩამოიარო ჰიჯვრის დამწერ კაცს ვერ ნახავ შიგ. ამის შეედეგრა გასაკვირალია, რომ დიდუბეს სხვა დაეპატრონოს, იმ დიდუბეს რომელსაც ასეთი ისტორიული წარსული აქვს და რომელსაც ქართველი მლოცველები არ სწყალობენ? საზოგადოთ ქართველ მლოცველს ეკლესია მხოლოდ ხატობას გაახსენდება და ისიც საქეიფოთ და არა საილოცულოთ. ეკლესიის ასეთ უგულო მოპყრობაში მარტო მლოცველი ხალხი არ არის დანაშაული, არამედ თვით მღვდელმსახურნიც და უფრო ესენი; თითონ რომ უგულოთ ეკიდებიან თავის საძსახურს—ესაა რომ გადამდებ სენივით მოქმედებს ხალხზედაც. აი თუნდა ბ. სულიერის შენიშვნაში მოყვანილი მაგალითი აგიღოთ. მართებლობამ უკანასკნელ გაასწორა თავის შეცდომა და ქართველთა განმანათლებელ დედის წმ. ნინოს დღესასწაული სცნო ღირსად პატივისცემისა. და როგორ შეეგება ამ ღირს შესანიშნავ მოვლენას თბილისის სამღვდელოება, რომლის თვალწინაც მოხდა ეს დიდებული აქტი და რომელსაც მისდა სამარცხვინოდ არაფერი ღვაწლი არ მიუძღვის ამ საქმეში? მან საჯაროდაც არ სცნო ეს დღე ედღესასწაულნა, როგორც საეკლესიო წესი მოითხოვს. 14 იანვარი აქამდისაც არ უნდა ეოფილიეო ასე დავიწყებული ქართველ სამღვდელოებისაგან და დღეს ხომ მიუტევებელ შეცდომათ უნდა შეირაცხოს და წაუშლელ ჩირქად უნდა წაეცხოს მას. თბილისის სამღვდელოების ასეთი გულგრილობის და დაუდევრობის ბრალია, რომ თბილისის ძველი ეკლესიები ერთიმეორეზე გვეკარგება და ქართველი ხალხი ველურდება სარწმუნოების მხრით.

ქართველ ნასწავლ თაობის შემობრუნება სარწმუნოებისა და ეკლესიისადმი ხომ აღარ იქნა და აღარ. მთელი წლის განმავლობაში აღდგომასაც არ მივლენ თავიანთ ეკლესიაში, აქაოდა უკან ჩამორჩენაში არავინ ჩამოგვართვასო. ამიტომ არ გვიკვირს, რომ წმ. ნინოს დღესასწაული მათ არ აინტერესებსთ, არ გვიკვირს, რომ ჩვენმა საერო გაზეთებმა კრინტი არ დასძრეს ამ დღის შესახებ. გაცილებით უფრო დიდ აურ-ზაურს გამოიწვევდა მათში ერთი უსუსური ესდეკის ჯირკზე გასვლა, ვიდრე წმ. ნინოს მოღვაწეობის მოგონება. ისტორია არ აპატიებს ჩვენ მოწინავე ახალგაზდობას ასეთ სარწმუნოეარივ გულგრილობას, მით უფრო არ აპატიებს ასეთ საქციელს დღევანდელ თბილისელ მოწინავე სამღვდელოებას...

ხელი.

სინამდვილე სახარებისა.

(ბლადკოვიდგან).

(გაგრძელება *).

ესე ყოველი დაიწერა, რათა გრწმენეს, რამეთუ იესო არს ქრისტე, ძე ღვთისა (ი. XX, 31).

—

ირინეოს ლიონელ ეპისკოპოსი. თავის წერილში ფლორინის მამართ წმ. იუსტინე ამბობს, რომ იგი მოწაფე იყო იოანე ღვთისმეტყველის მოწაფის იოანესი. იგი, როგორც ამბობენ, დაიბადა 130 წელს ქ. შ. სიყმაწვილე სმირნაში გაატარა, სადაც გაეცნო ბერძენ ფილოსოფოსთა და პოეტთა ნაწერებს; უკვე ჰასაკოვანი პოლიკარპემ იგი გაგზავნა გალლიაში (ეხლანდელ საფრანგეთში), ლიონის ეპისკოპოსის პოფინის სიკვდილის შემდეგ 177 იგი არჩეულ აქმნა ლიონის ეპისკოპოსად და გადაიცვალა 202 წ.

წმ. ირინეოსს წილად ხვდა ბრძოლა (სიტყვით და წერილობით) მწვალებელთა წინააღმდეგ. მან ბევრი დასწერა ქრისტიანობის დასაცავად, მაგრამ ჩვენამდის მოახწია მხოლოდ ერთმა წიგნმა შემდეგი სახელწოდებით: „ხუთი წიგნი სხვა და სხვა მწვალებლობის წინააღმდეგ (იხ. თარგ. პრეობრაჟენსკისა 1871 წ.).

ამ წიგნში ვპოულობთ შემდეგ მოწმობას სახარების შესახებ.

1) მესამე წიგნში (თ. I. გვ. 272, 273) ირინეოსი ამბობს: „ჩვენი გამოხსნის ამბავი (устроеніе) ჩვენ გავიგეთ არა ვინმე პირთაგან, არამედ მათგან, ვისგანაც მოახწია ჩვენამდის სახარებამ, რომელსაც იგინი ქადაგებდენ ზეპირათ, ხოლო შემდეგ, ნებითა ღვთისათა, გადმოგვცეს ჩვენ წერილობით. ამნაირათ, მათემ გამოსცა ებრაელთა შორის მათ დედაენაზე წერილი სახარებისა იმ დროს, როცა პეტრე და პავლე ახარებდენ რომში და დააფუძნეს ეკლესია. შემდეგ მათი სიკვდილისა, პეტრეს მოწაფემ და მთარგმნელმა მარკოსმა, გადმოგვცა ჩვენ წერილობით ის, რაც იქადაგა პეტრემ. და ლუკამ, პავლეს თანამგზავრმა, ჩასწერა წიგნში მისგან ნაქადაგები სახარება. შემდეგ იოანემ, უფლის მოწაფემ, რომელიც მიეყრდნო მას მკერდზე, გამოსცა აგრეთვე სახარება დროსა აზიის ეფესოს შინა მყოფობისასა.

2) როცა იმავე მესამე წიგნში (თ. X—XI, გვ. 243—310) სიტყვათი სიტყვამდე მოჰყავს სახარებიდგან ყოველივე, რაც შეეხება იოანე წინამორბედის შობას, ხარებას, ქრისტეს შობას, მირქმას, ირინეოსი ამბობს: „ასეთნი არიან პირველნი დასაწყისნი სახარებისა. და იმდენათ დიდია ჭეშმარიტება ამ სახარებისა, რომ მწვალებლებიც ღირსეულად პატივსცემენ მათ მოწმობას და თითოეული მათგანი ცდილობს მით დაამტკიცოს (მაზე დააფუძნოს) თავის მოძღვრება“.

3) როცა ლაპარაკობს იმაზე, რომ მწვალებელი მარკიონი და მისი თანამოაზრეები ღებულობენ ლუკას სახარებას, მაგრამ ამოკლებენ მას თავიანთ მიზნისათვისო, ირინეოსი იცავს მახარებლების ავტორიტეტს შემდეგი სიტყვებით: „მოციქულები უბრალოთ, და არავის მიმხედველნი, გადასცემდენ ყველას მას, რაც თითონ ისწავლეს უფლისაგან. მსგავსადვე ლუკა, არავის მიმხედველი, გადმოგვცემს მას, რაც მათგან შეიტყო, როგორც თვით მოწმობს და ამბობს: „როგორც გადმოგვცეს ჩვენ მათ, ვინც თავიდგანვე თვითმხილველნი და მსახურნი იყვნენ სიტყვისა (გვ. 340). ლუკა ქადაგებდა პავლესთან ერთად, მისგან წოდებულია, საყვარლად, მასთან ახარებდა და მისგან შეიმოსა უფლება, რომ გადმოეცა ჩვენთვის სახარება“ (გვ. 339).

აღნიშნულ ირინეოსის თხზულებაში იმდენი ადგილებია სახარებიდგან სიტყვითი სიტყვამდე მოყვანილი, რომ, ყველანი თუ მოვიყვანეთ, უნდა ამოვიწეროთ უმეტესი ნაწილი ოთხივე სახარებისა.

ტაციანემ, იუსტინე ფილოსოფოსის მოწაფემ. რომელიც ცხოვრებდა მეორე საუკუნეში (გადაიცვალა 175 წ.), როგორც მოწმობენ ევსევი და იერონიმე, ბევრი წიგნები დასწერა, მაგრამ ჩვენამდის მოვიდა მისი

*) იხ. „შინ. საქ.“ № 2.

„სიტყვა ელლ ნთა წინააღმდეგ“; ამ წიგნში იგი ამხილებს წარმართთა სარწმუნოების სისულელეს და ამტკიცებს სალმრთო წერილის ღვთაებრიობას.

ამ სიტყვაში ტაციანე ასე მოგვითხრობს თავის მოქცევის ამბავს: „მე ბევრი მიმოგზაურნია სხვა და სხვა ქვეყნებში, თითონ შემისწავლია თქვენი მეცნიერება, როგორც სოფისტს; მისწავლია ხელოვნება და სხვა და სხვა გამოგონებანი. იმ დროს, როცა ჩემი გონება მის განხილვაში იყო, რაც რამ საუკეთესოა, მე შევხვდი ერთნაირ წიგნებს, რომლებიც უძველესია ელლინელ სწავლაზე და იმდენათ ღვთაებრივია, რომ შედარებაც არ შეიძლება მის (ელლინურ სწავლის) უგნურებასთან; და მე ვირწმუნე ეს წიგნები მათი ენის უბრალოებისა, მწერლების არა ხელოვნურობისა, მთელი ქმნილების ადვილი ახსნა-განმარტებისა, მყობადის წინასწარმცნობელობისა, კანონთა აღმატებულობისა და, ბოლოს, მისი სწავლისა ქვეყნიერობის ერთ მპყრობელზე. მათი ცნობით განათლებულმა, მე უარვყავ წარმართთა ცნობილებანი, როგორც ბავშური ბოდვა, მე გამოვეთხოვე რომაულ ზვაობასაც, ცივ ათინელ მჭერმეტყველებასაც, და სხვა და სხვა მოძღვრებას (იხ. თხზულებანი ძველი ქრისტეანების აპოლოგეტებისა თარ. პრეობრაჟენსკისა 1895 წ.).

ამავე სიტყვაში ელლინთა წინააღმდეგ ტაციანე დაწვრილებით გადმოგვცემს სწავლას **სატყვაზე**; ბევრი რამ შემოაქვს იოანეს სახარებიდგან და მოჰყავს საკუთარი სიტყვები ამ სახარებიდგან, მაგ. **ბნელი ნათელს ვერ ეწია** (ი. I, 5) ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა (I, 3).

ტაციანმა შემდეგ მხარი დაუჭირა ენკრატიტების მწვალებლობას; ამ დროს მან, როგორც მოწმობს ისტორიკოსი ევსევი (წ. IV, 30), შეადგინა ოთხი სახარების კრებული, რომელშიდაც გამოსტოვა გვარტომობის აღწერილობა ი. ქრისტესი და სხვა ადგილები, რომლებიც ამტკიცებდენ მის (ი. ქრისტეს) შთამომავლობას დავითისაგან. ამ სახარების კრებულით, რომელსაც „დიატესაროონი“ ეწოდა სარგებლობდენ, არა თუ მხოლოდ ენკრატიტები, არამედ მართლმადიდებლებიც. თეოდორიტე ეპისკოპოსმა (გადაიც. 456 წ.) ნახა თავის ეპარქიის ეკკლესიებში 200 ცალზე მეტი „დიატესაროონი“, ჩამოართვა იგინი და მაგიერათ დაურიგა სახარებები ოთხი მახარებლისა.

კლემენტოს ალექსანდრიელი, მოწაფე პანტენისა, კაცი, მაშინდელ დროის, უმაღლესი განათლებული, 200 წ. შეიქნა თავი შესანიშნავ ალექსანდრიის სასწავლებლისა.

ყველა თავის წიგნებში, რომლებმაც ჩვენამდის მოახწიეს, კლემენტოსს მოჰყავს ბევრი ადგილები ოთხივე სახარებიდგან, როგორც ისეთი წიგნებიდგან, რომლების სინამდვილეში და მოახრობების ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის შეუტანია და ამასთანავე ასახელებს მახარებლებს.

ისტორიკოს ევსევის თავის საუკეთესო ისტორიაში (VI, 14) მოჰყავს შემდეგი ადგილი კლემენტოსის წიგნიდგან „დახაზულობანი“ (начертанія): „სახარებებიდგან პირველათ დაწერილია ისინი, რომლებშიდაც აღწერილია თვისტომობა იესო ქრისტესი. მარკოსის სახარება ასე გაჩნდა: როცა პეტრე. სახალხოთ ქადაგებდა რომში ღვთის სიტყვას და აუწყებდა სახარებას სული წმიდის ჩაგონებით, მაშინ ბევრმა იქ მყოფთაგანმა სთხოვა მარკოსს, დიდი ხნის მის თანამგზაირს. რომელსაც ახსოვდა ყოლიფერი, რაც მას უთქვამს, დაეწერა, რაც მან ჰქადაგა. მარკოსმა დასწერა სახარება და გადასცა იგი მათ, ვისაც ესაჭიროებოდა. როცა პეტრემ გაიგო ეს ამბავი, იგი არც აქეზებდა მას და არც უშლიდა. ხოლო უკანასკნელმა მახარებელმა იოანემ შეატყო რა, რომ სახარებებში მოთხრობილია მხოლოდ ხორციელი, მოყვასთა თხოვნით და სულიწმიდის ჩაგონებით, დასწერა სახარება სულიერი.

ათინაგორ ათინელი, წარმართი ფილოსოფოსი მეორე საუკუნისა. ამას უნდოდა ეწერა და ემოქმედნა ქრისტიანების წინააღმდეგ. ამ მიზნით დაიწყო სამღვთო წერილის კითხვა და შესწავლა და შეიქნა მქადაგებელი იმ მოძღვრებისა, რომლის წინააღმდეგიც იყო.

166 თუ 177 წ. მან მიართვა თხოვნა ქრისტიანების შესახებ იმპერატორებს, მარკოს ავრელს და ლიუცი კომმოდს, თხოვ ა, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანობის ბრწყინვალე დაცვას უსამართლო ცილის წამებისა და დევნისაგან (პრეობრაჟენსკი 1895 წ.). ამტკიცებს რა ქრისტიანების ზნეობრივ სიმაღლეს და უპირატესობას წარმართთა წინაშე, მას მოჰყავს ამ თხოვნაში ნამდვილი სახარების სიტყვები; მაგ. მათეს სახარებიდან V, 28, 39, 44—46; XIX, 9; ლუკას სახარებიდან—VI, 27, 28, 32, 34 და 29. თავის თხოვნის ერთ ადგილას, როცა სახარების სიტყვები მოჰყავს, იგი განმარტავს, რომ **ასე ამბობს წერილი** და ამით ამტკიცებს, რომ ეს სიტყვები მას მოყვანილი აქვს დაწერილი წიგნიდან: „უკეთუ გიყვარდენ მოყვარენი თქვენნი,—ამბობს წერილი და უკეთუ ავასხებდეთ მავასხებელთა თქვენთა, რაი სასყიდელი გექნეს თქვენ“. (ლ. VI 32 და 34). სამებაზე მსჯელობიდან სჩანს, რომ ათინაგორმა უეჭველად იცოდა იოანეს სახარება.

თეოფილე, ეპისკოპოსი ანტიოქიისა (176—186), როგორც სჩანს მისი თხზულებიდან, აღიზარდა წარმართობაში და მიიღო იმ დროის უმაღლესი განათლება; ვაჟკაცობაში იგი გაეცნო სამღვთო წერილის წიგნებს და ირწმუნა იესო ქრისტე.

მან ბევრი ნაწერები დაგვიტოვა და სხვათა შორის „თარგმანი (განმარტება) სახარებისა“, როგორც ამას მოწმობს იერონიმე; მაგრამ ჩვენამდის მოვიდა მხოლოდ „სამი წიგნი ავტოლიკეს მიმართ“. მეორე წიგნის მე-22 მუხლში, როცა მსჯელობს ღმერთზე და ქვეყნის გაჩენაზე, იგი ამბობს: „ამიტომ ჩვენ გვასწავლიან სამღთო წერილნი და ყველა სულიწმიდით შემოსილნი, რომელთაგან იოანე ამბობს: **პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთისთანა, რითაც აჩვენებს, რომ პირველად იყო მხოლოდ ერთი ღმერთი და მასში სიტყვა.** შემდეგ იგი ამბობს: **და ღმერთი იყო სიტყვა იგი; ყოველივე მას მიერ შეექმნა და თჳნიერ მისსა არა რა იქმნა** (ი. I, 1—3). მესამე წიგნის მეცამეტე მუხლში მას მოჰყავს შემდეგი ადგილი მათეს სახარებიდგან: „ყოველი, რომელი ხედვიდეს დედაკაცს გულისთქმით, მუნვე იმრუშა მისთანა გულსა შინა თვისსა. ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თვისი, თჳნიერ სიძვისა, მან ამრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა.“ (მათე V, 28 32). იმავე წიგნის მე-14 მუხლში: „სახარება ამბობს: გიყვარდეს მტერნი თქვენნი და ლოცვიდეთ მაყვედრებელთა თქვენთა“.

ერთი სიტყვით წმ. თეოფილეც მოწმობს, რომ მის დროს სახარება საღვთო წიგნათ ითვლებოდა, როგორც დაწერილი სულიწმიდის ძალით შემოსილ ადამიანთაგან.

ნეტარი იერონიმე გვარწმუნებს, რომ წმ. თეოფილემ თითონ შეადგინა კრებული ოთხი სახარებისა და დასწერა კომენტარიები (თარგმანი—განმარტება).

ქართული

საეკლესიო გალობა.

ქართულ—კახური კილოს გალობა გადიღო ნოტებზე პატივცემულმა და კარგათ ქართული კილოს მცოდნემ მამა **ვ. კარბელაშვილმა**, როგორც წირვის წესი, ისე ღამის თევის გალობები,—აგრეთვე იმერეთში ბ. ქორიძემ. კიდევ ხუთი და ათი წილი დარჩა, როგორც ქართლ—კახური გალობის კილო, ისე, იმერული; იმერული გალობა დაიწერა ვარჯიშით, ხმის ტრიალით, ხოლო კილო, სადა გალობა, როგორც ძველად გალობდენ და რომელზედაც აგებულია ვარჯიში გალობისა, დარჩა დაუწერელი. ამ უკანასკნელის დაწერა ვიკისრე მე. დავსწერე ასე სადა კილოზე წირვის წესები, ღამის თევის გალობები, რვა ხმა პარაკლიტნი, დიდ მარხვის და სხვა მრავალი. წირვის წესები დაბეჭდა სამღვდელოებამ (ერთ ხმაზე) და დანარჩენს უპირებდა დაბეჭდვას რიგ-რიგზე: ჯერ ცალფა ხმაზე და მერმე პარ-

ტიტურათ. ამ სადა კილოზე დაწერილ გალობის გავრცელებას ხელი შეუშალა საზოგადოთ ნოტების უცოდინარობამ და სამრევლო სკოლებში კერძოთ ერთმა სკოლების ხელმძღვანელმა, რომლის შესახებაც ვფიქრობ საზოგადოებას გავაცნო საქმის ვითარება შემდეგში. ასე ამ გვარათ ჯერჯერობით დაბეჭდილებიც და ხელ-ნაწერებიც აწყვია უმოძრაოთ. ამის შემდეგ გულ-გატეხილი კაცი უსიამოვნო და მატერიალურად ყოვლად უსარგებლო საქმეზე როგორღა გაიტეხს თავს და მამა პაპათა ნამოღვაწი საერო კუთვნილება, გალობა, რომელმაც დღემდის მოაწია, ეს საზოგადო საქმე რჩება გაუკეთებელი. როგორც ვხედავ და ვიცი, თავის დღეშიაც არ გაკეთდება, რადგან ვისგანაც უნდა გაიგონონ ეს, არა მარტო რვა ხმოვანი, არამედ ათას ხმოვანი გალობა (იგულისხმეთ: სძლის პირები, იამბიკოები, თვითხმოვანნი და სხვ.) მალე გაემგზავრებიან იქ, საიდანაც აქეთ აღარ ბრუნდებიან.

დღეს, როგორც იმერეთში, ისე ამერეთშიაც შეჩერებულია ქართული გალობის, როგორც ნოტებზე გადაღება, ისე, გავრცელება. მამა კარბელოვებს და ვერც სხვას, რასაკვირველია მე ვერავის დავავალებ და მე კი ამ გარემოების მიხედვით მინდა ეს მძიმე ტვირთი ვიტვირთო და საზოგადოთ ვაცხადებ: ქართველმა მღვდელთ-მთავრებმა, სამღვდელოებამ და საერომ, ვისაც კი ამ საქმეზე ცოტათი გული შეტკივა, მოიპოვონ როგორმე მსურველი ახალგაზდები, ხმის და ნიჭის პატრონნი, გამომიგზავნონ და მე ვასწავლი მათ უსასყიდლოთ. მე ვერ მივიღებ შრომას ისეთ პირებზე, ვისაც მარტო წირვის წესები უნდა ისწავლოს და გაუდგეს გზას. არა, პირობა ასეთი იქნება: მათ უნდა ისწავლონ ჩემგან არა მარტო წირვის წესები, არამედ მთელი გალობა: 12 საუფლო და მარხვანი, რაც კიდევ დარჩენილა ხსოვნაში. ესენი წიგნებით ასე იანგარიშება: პარაკლიტონი რვა ხმა, სადღესასწაულო, მარხვანი და ზადიკი. მოსწავლეს ნება არ ექნება დაწყებული საქმე მიატოვოს სანემ მთლათ არ გაათავებს მოხსენებულ გალობებს. ამ გვარად მომზადებული პირები, რომ აგალობონ მღვდელთ-მთავრებმა ხანდახან კანანარხით მათთან მსახურების დროს, ვგონებ აჯობებს იმას, დღეს, რომ მარტო წირვის წესს ჯერდებიან. ვფიქრობ, ამ წესით მომზადებულ მგალობლებს წინ და წინ რომ მედავითნეობის ადგილი აღუთქვას მღვდელთ-მთავარმა ქალაქებში და შესაკრებელ შტატის ადგილებზე, ადვილათ იშოვება მოსწავლეები, სადაც ისინი გაავრცელებენ გალობას და შესაძლებელია ამ გვარათ შამობრუნდეს და აღარ დაიკარგოს ქართული გალობა, რომელიც დღეს თუ ხვალ სრულიად დაიკარგება და მერმე გვიანღა იქნება „თითზე კბენანი“.

მღვდ. რ. ხუნდაძე.

ვსთხოვ უმორჩილესათ „სახალხო გაზეთის“ პატივცემულს რედაქციას და სხვა ქართულ გაზეთ-ჟურნალებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

რ. ხ.

მოხსენება

პროფესორ ა. ა. ცაგარელისა.

(ნათარგმნია სინოდის ორგანის „Церковныя Вѣдомости“-დგან 1906 წლ.).

მოწმობანი მე XVII—XVIII საუკ. ოფიციალურ მიწერ-მოწერისა საქართველოს (იგერიის) ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.

„სიცხოველე სარწმუნოებისა ქართველებში დიდია, რისგანაც წარმოსდგება მათი ერთგულება სრულიად რუსეთის ხელმწიფის კარისადმი და კეთილი განწყობილება რუსეთის ხალხისადმი“.[1]) ასე ამბობს მოხსენება, წარდგენილი დედოფალ ეკატერინა მე II-დმი უცხო ქვეყნების საქმეთა კოლეგიისაგან 1768 წ.

[1]) სიგელები და სხვა ისტორიული საბუთის წერილები მე XVIII საუკუნისა, რომლებიც ეხებიან საქართველოს. პირველი ტომი 1768—1774 წ დი. პეტერბურგის უნივარსიტეტის პროფესორის ა. ა. ცაგარელის რედაქტორობით. საქართველოს ქარტით 1771 წ. პეტერბგი 1891 წ. 6—9 გვ. (რუსულათ).

ოსმალებთან პირველ ომიანობის წინ, რომელშიდაც მონაწილეობის მიღებაზე დედოფალი საკუთარი წერილით იწვევდა საქართველოს მეფეებს და ხალხს [2]).

საქართველოს საქკლესიო საკითხის ბჭობაში საკუთარი ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ იმ დროის უმეტეს ცნობილ რუსთა ოფიციალურ დამოწმებით, პირველათ, სიცხოველე სარწმუნოებისა ქართველ ხალხში' მე XVIII საუკ., იყო დიდი, მაშასადამე, სარწმუნოება მაშინ არ იყო დაცემული, როგორც ზოგნი ეხლა ფიქრობენ, და მეორედ, რომ ეს „დიდი სიცხოველე სარწმუნოებისა“ ითვლებოდა მაშინაც წყაროდ და მიზეზად ქართველთა კეთილ-ნდობისა და განწყობილებისა რუსეთის ხელმწიფესა და ხალხისადმი, ყველა კი ეს, ერთად აღებული, უჩვენებდა, რომ მომავალ ძნელ ომში, თათრების წინააღმდეგ საქართველოს მეფენი და ხალხი გაუწევენ რუსეთს დიდ შეწევნას და შველას, — რასშიდაც რუსეთი არ მოსტყუვდა.

ჩვეულებრივათ წარმოიდგენენ საქართველოს რუსეთთან კავშირის შეკვრამდის 1783 წ., როგორც დაჭრილს, გაცარცულს ავაზაკებისაგან და გადაგდებულს დიდ გზაზე კაცს, ვიდრე რუსეთმა, როგორც მოწყალე სამარიტელმა სიბრალულის გამო არ წაიყვანა ის და არ განკურნა მისი ჭრილობანი[3])

ასეთი აზრი საქართველოზე, როდესაც საგანს ახლო გავიცნობთ ვერ პოულობს დამტკიცებას ნამდვილ რუსთ—ქართველთ დამოკიდებულებათა ისტორიაში.

საქართველოში მე XVIII საუკ. არა მარტო „სიცხოველე სარწმუნოებისა იყო დიდი“, არამედ ქართული სახელმწიფოც იყო საკმაოდ ძლიერი და შემძლებელი, რომ რუსეთს ეძებნა და ღირსეულად დაეფასებინა მისი სამხედრო შეწევნა და დახმარება ოსმანებთან, სპარსელებთან და კავკასიის მთიულებთან ომისთვის.

1750 წლამდე სათათრეთი და სპარსეთი დროებით იპყრობდენ საქართველოს არა შეპირებითი უფლებით, არამედ უფლებით დამპყრობელისა ანუ მძლეველისა; ხშირად, რომ დაეშორებინა რუსეთს, სპარსეთი მოსთხოვდა ხოლმე საქართველოს მეფეებს მაჰმადიანობის მიღებას, მაგრამ არ ეხებოდა უფლებას და განსაკუთრებულ მდგომარეობას საქართველოს ეკლესიისას; ასე იქცეოდნენ ერთ დროს არაბებიც და განსაკუთრებით მონგოლები, რომლებიც ამასთანავე ათავისუფლებდნენ ეკლესიებს და სამღვდელოებას სახელმწიფო გადასახადებისაგან. მე XVIII საუკ. მეორე ნახევრიდგან (სპარსეთის შაჰის ნადირის სიკვდილის შემდეგ 1748 წ.) საქართველოს სამეფონი ქართლისა და კახეთისა, გაყოფილნი მე XV

[2]) სათაური ამ მოხსენებისა: „ბჭობა იმაზედ, თუ რა ღონისძიებით დაიყოლიონ ქართველნი მონაწილეების მიღებაზე ახლანდელ ოსმალეთის პორტასთან ომში. სიგელები, პირველი ტომი, 1 გ.

[3]) ერთმა სასულიერო წევრმა საქართველოს უწოდა „უმადურ“. რადგანაც მასსურს აღადგინოს კანონიური წესი თავის ავტოკეფალიურ ეკლესიის მართვა-გამგეობისა, ეს ამტკიცებს მხოლოდ, რომ ამ მღვდ. ლ. თავარმა ცუდათ იცის რუსი ქართველთ დამოკიდებულებათა ისტორია: უკანასკნელი სამი საუკუნე რუსეთთან კავშირის შეკვრამდი 1783 წ. საქართველოს დაპყრობაზე ცილობდენ მაჰმადიანთ სახელმწიფოები—სათათრეთი და სპარსეთი, მე XVIII საუკუნეში-კი მათ მიემატა ქრისტეს აღმსარებელი რუსეთიც. რუსების სამმა გალაშკრებამ (1722, 1770, 1796 წ.წ.) სპარსეთში და ოსმალეთში ვერ იქონია მტკიცე შედეგი, მიუხედავათ ამისა ქართველმა მეფეებმა და ხალხმა ცხადათ მიიღეს მხარე ქრისტეანული სახელმწიფოსი და შესწყვიტეს საუკუნოებითი კავშირი მაჰმადიან სახელმწიფოებთან. რუსეთი დადგა მტკიცედ კავკასეთის გადაღმა მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველომ სტუმრულათ გაუხსნა რუსის ჯარს თავისი სახელმწიფოს საზღვრები. ამ საბით, არა მარტო დამარჩილება კავკასიელ მთიულია, რომლებიც აოხრებდენ რუსეთის განაპირა მიჯნებს, არამედ დაპერა შუა ბზიისა და კასპის ოლქისა იყო ბუნებრივი შედეგი ქართველ. რუსს 1783 წლის პირობის შეკრულებისა. თუ-კი რუსეთს არ შეეძლო, ან არ შეუძლია წაიწიოს უფრო წინა, ანუ მცირე აზიაში, ან სტამბოლის მხარისკენ,—ამაში რასაკვირველია, საქართველო არ არის დამნაშავე. რუსეთთან კავშირს საქართველომ შესწირა თავისი 20 საუკუნის სახელმწიფო და 15 საუკუნის ეკლესია, სარწმუნოება ჭერება, და ხალხიც, როგორც ერი, დიდხანს არსებობას ვერ შესძლებს, რადგანაც „არა პურითა მხოლოდ ცხოველ იქმნების კაცი“. ახლა ვკითხოთ: ვინ არის „დაუმადური“ და ვინ, ვინ „გაპრედნიერა“?!

საუკ. მეორე ნახევრიდგან, არა თუ ხელ-ახლა შეერთდენ ერთ ძლიერ სახელმწიფოთ, გარნა ქართველ მეფეთა თეიმურაზ და ირაკლის შემწეობით კიდევაც დაიპყრეს ორი სახანოები: განჯისა და ერევნისა, რომლებსაც, საქართველო ჰფლობდა 1795 წლამდე, ე. ი. საქართველოზე თავდაცემამდი სასტიკი სპარსეთის ალი-მაგომეტ-ხანისა, რომელმაც დაიქცია საფუძვლამდე თფილისი, რომლის დასაცველათ რუსეთიდგან არ იყო გამოგზავნილი არც ერთი მოლაშქრე, მიუხედავათ შეპირებისა (სეპარატიული მუხლები 2—4) 1783 წლიდგან.

შეერთებული საქართველოს სამეფო არსებობდა თვით რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთებამდი 1801 წ. ასე, რომ რუსეთთან პირობის შეკვრის დროს 1783 წელს, საქართველოს სამეფოს ჰქონდა სრული სასულიერო და სამოქალაქო დამოუკიდებლობა. იურიდიულათ ეს დრო უნდა ითვლებოდეს ქვა კუთხედათ ჩვენ გამოძიებათა ეხლანდელ საქართველოს ეკლესიის საკითხში; ყველა აქამდინ გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოს ეკლესიის ძველ დუოზე აქვთ უფრო ისტორიული ხასიათი გასაცნობათ ივერიის ეკლესიის ბედისა და მდგომარეობისა წარსულ საუკუნოებში. 1783 წლის რუსეთთ-ნ შეკრულმა პირობამ ნახა საქართველოს ეკლესია და სახელმწიფო სრულიად დამოუკიდებლათ. ამის დასამტკიცებლათ გავიცნოთ რამდენიმე საბუთის წერილები, რომელნიც გვიხატავენ მდგომარეობას საქართველოს ეკლესიისას, მის ხარმომადგენელ—ქათალიკოსისას და საზოგადოთ საქართველოს სამღვდელოებისას მე XVII—XVIII საუკუნოებში, როდესაც საქართველოს ჰფლობდენ დროებით თათრები და სპარსელები.

ამ დროიდგან დაბეჭდილია ჯერ ცამეტამდე ოფიციალური საბუთის წიგნები, ფარმანები, ანუ ოქმები სპარსეთის შაჰებისა და სათათრეთის სულთანებისა, დედანი რუსული თარგმანით იხილე პირველ ტომში კავკასიის არქეოგრაფიური კომისიის გუჯრებში, გვ. 69—77, საიდგანაც მოგვყავს შემდეგი მოკლე ნუსხა და სრულებით ორი ფარმანი.

1) ფარმანი სპარსეთის შაჰის სეფისა (1627—1641) შაჰ აბაზზ დიდის შვილიშვილისა საქართველოს ქათალიკოსის (ზაქარიას) სახელზე მადლობის გამოცხადებით ღვინისა და მიმინოების გამოგზავნისათვის.

2) ფარმანი შაჰ სულეიმანისა (1666—1694) ქათალიკოსის გადაყენებაზე მეფის—მამადიანის ნაზორ ალიხანისადმი არა პატივისცემისათვის და მის ადგილზე მეორე პირის ამორჩევაზე.

3) ბრძანება სათათრეთის სულთანის რედეენ ფაშის სახელით ყ-დ უსამღვდელოესო დომენტის ქათალიკოსის წოდების დაბრუნებაზე 1724 წლიდგან თფილისში.

4) ბრძანება სათათრეთის სულთანისა საქართველოს ქათალიკოსის სამწყოს შორის წესიერების დამყარებაზე 1726 წლიდგან.

5) ფარმანი ნადირ შაჰისა საქართველოში ახალი ქათალიკოსის დანიშნვაზე 1742 წლიდგან.

6) ფარმანი ნადირ შაჰისა ჯსამღვდელოეს ანტონის სახელზე მის საქართველოს ქათალიკოსის ხარისხში აყვანაზე 1744 წლიდგან.

7) ფარმანი სპარსეთის ასლან შაჰისა ანტონის საქართველოს ქათალიკოსის ხარისხში დამტკიცებაზე 1747 წლიდგან.

8) ფარმანი შაჰ იბრაგიმისა ქათალიკოს ანტონის სახელზე იმისათვის ტანსაცმელი (კაბა—ანაფორა) და სამოსელის ბოძებაზე 1748 წლიდგან.

9) ფარმანი იბრაგიმე შაჰისა ანტონი ქათალიკოსის სახელზე, რომლითაც ქათალიკოსს ნება ეძლევა მოუაროს და ისარგებლოს იმ სოფლებით, რომლებიც ჰბოძებია საქართველოს ეკლესიას სხვა და სხვა დროს, 1748 წლიდგან.

ყველა ამ სპარსული და თათრული ფარმანებით მტკიცდება არსებული ძველის დროიდგან საქართველოში „საეკლესიო ჩვეულებანი, უფლებანი და უპირატესობანი საქართველოს ეკლესიისა და ამორჩეულ ქათალიკოსებისა“ და არ არის იქ არც ერთი სიტყვა მათ დამოკიდებულებაზე რომელიმე სასულიე-

რო პირისაგან საქართველოს გარეშე. ხალხი, ე. ი. ეპისკოპოსები, კრებული და ერის კაცები, ირჩევენ ქათალიკოსს,—შაჰი, ანუ სულთანი მას ამტკიცებს. მაგალითად მოვიყვანთ ორ ფარმანს—თათრულს ქათალიკოს დომენტის სახელზე 1724 წლიდგან, და სპარსულს ქათალიკოს ანტონის სახელზე 1744 წლიდგან.

დომენტი, ძმა მეფე ვახტანგი VI, იყო საქართველოს ქათალიკოსათ პეტრე დიდის გალაშქრების დროს სპარსეთისკენ 1721 წელს. პეტრეს მოკავშირე იყო ვახტანგი, რომელიც 30 ათასი ქართველ ლაშქრით მივიდა შემახიაში, მაგრამ პეტრე სათათრეთის მუქარის გამო, რომელმაც (სათათრეთმა) მაშინ დაიჭირა თფილისი, ყარსი, შემახა, იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო დერბენტიდგან ასტრახანში და შემდეგ პეტერბურგში.

1724 წელს პეტრე დიდმა შეჰკრა პირობა ოსმალეთთან, რომლის ძალითაც საქართველო, როგორც სხვა სათათრეთის ჯარისაგან დაჭირული ადგილები კავკასიაში, გადაეცა სათათრეთს, გარდა ვიწრო ადგილისა კასპის ზღვის პირზე—მაზანდერონისა და ასტრიდისა, სადაც დარჩა რუსეთის ჯარი 11 წელიწადს. ამის შემდეგ საქართველოს მეფეს ვახტანგ VI, როგორც პეტრე დიდის მოკავშირეს, აღარ შეეძლო დარჩენილიყო საქართველოში; თავისი შინაყმებით და დიდი ამალით ის გავიდა რუსეთში და დაესახლა მოსკოვში. ვახტანგის ძმა, ქათალიკოსი დომენტი, რამოდენიმე ხანი იმალებოდა საქართველოში, შემდეგ წავიდა კონსტანტინოპოლში, საიდგანაც ცოტა დროს გამოშვებით დაბრუნდა საქართველოში წინანდელი ქათალიკოსის ხარისხით. აი ამ შემთხვევას ეხება ის საბუთის წერილი, რომელი მე მაქვს განძრახვა სავიკითხო. შესანიშნავია, რომ დომენტი ქათალიკოსის საქმის მოსარიგებლათ პორტას არ მიუმართავს ანტიოქიის პატრიარქისთვის, თუმცა ეს საპატრიარქო ოსმალეთის სახელმწიფოში იყო, როგორც ეხლაა და აქედგან ცხადათ სჩანს, ანტიოქიის პატრიარქიას მე XVII—XVIII საუკ. არ ქონდა არავითარი უფლება საქართველოს (ივერიის) ავტოკეფალურ ეკლესიაზე.

ბრძანება რედეენ—ფაშისა სულთანის სახელით: „უპარატესო ქრისტიანთ სამღვდელოებაში, ნამყოფო წინათ თფილისისა და კახეთის და აგრეთვე მთელ ქართველ ტომთა ქათალიკოსად, დომენტი, იყოს შენი სახელი ბედნიერი! შენ, მსგავსათ შენის ძმისა, შემცდარ ვახტანგ—ხანისა, გარემოცული შიშით, რამოდენიმე ხანი იმალებოდი, ბოლოს ვერ იპოვე რა თავშესაფარი გარდა ჩრდილისა ქვეშ დიდებულისა, როგორც ცა, სულთანისა, მიმართე მისს კარს თხოვნით შეწყალებაზე და შენთვინ მინიჭებაზე აღრინდელი ხარისხი სასულიერო წოდებისა ქართველ ტომთა შორის, ამისათვის წავშალე ფიცარზე შენდობის კალმით უწინდელი შენი შეცოდებანი და მოგანიჭე შენ შეწყალება და დაგიბრუნე წოდება ქათალიკოსისა და უპირველეს სასულიერო პირისა ქართველ ტომისა თფილისში და კახეთში და მათგან დამოკიდებულ ქვეყნებში ამ წოდების კუთვნილ ყველა უფლებით; თქვენ კი საზოგადოთ მცხოვრებნო, თავადნო, და მღვდელნო! საქართველოში უნდა იცნოთ ხსენებული დომენტი თქვენ უპირველეს სასულიერო პირათ, ყველა სასულიერო საქმეები შერაცხოთ მისგან დამოკიდებულათ, აძლიოთ მას თქვენი ჩვეულებისა-მებრ ძველის დროიდგან არსებული შამოსავალი და მის თანამდებობაში არავინ არ ჩარიოთ. ასე ასრულებდეთ შიშ ქვეშ პასუხის გებისა ურჩობისათვის. 1137 წელს, სიჯარა (1724).

ფარმანი სპარსეთის ნადირ შაჰისა ყ-დ უსამღვდელოეს ანტონის სახელზე იმის საქართველოს ქათალიკოსის ხარისხში აყვანაზე: „წყალობითა მაღლისა ღვთსა ბრძანება გაიცა: მის უმაღლესობამ (აღმოსავლეთის) საქართველოს და ქართლის ვალიმ (შაჰის მოადგილემ) თეიმურაზ-ხანმა აუწყა ჩვენ უდიდებულეს სახელმწიფოს წარჩინებულ პირთ, რომ საქართველოს ქათალიკოსი გადიცვალა და ხალხმა საზოგადო კრებაზე ღირსად სცნა ამ ხარისხში პირველი ყ-დ უსამღვდელოესი ანტონი, (დისწული?) მისი უმაღლესობისა, რომლითაც, მისი ცოდნის ქრისტიანულ სჯულის დოღმატებით და როგორც პირველი

სამღვდელოებაში, ყველანი კმაყოფილი და მადლიერი არიან და თხოულობენ ამაზე შუამდგომლობას;—რისთვისაც, თანახმად ხსენებულ ხანისა და საქართველოს მცხოვრებლების თხოვნისა, ავიყვანე რა უსამღვდელოესი ანტონი, ამა წლის პირველ ნახევრიდან, უმაღლეს ხარისხში ქსთოლიკოსისა, დაუნიშნე მე მას, მსგავსად წინანდელი ქათალიკოსებისა, წელიწადში 6000 ნადირის მანეთი, რომელიც მივანდევ მას მიიღოს თავის საკადრის ხარჯათ იქაურ მთავარ მართებელთაგან. ამ ხარისხში აყვანის შემდეგ ის ვალდებულია კეთილათ მოწყესოს თავისი სამწყსო, ყველა მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლათ და ჩვენი კარის კეთილდღეობაზე და მარადისობაზე ილოცოს. ამასთანავე, ყველა თავადებს, მღვდლებს, დარბაისლებს და საქართველოს ხალხს ებრძანა ვალდებულათ იცნონ ის თავის ქათალიკოსათ, სამღვდელოების თავად და ყველა სასულიერო საქმეებში უპირატესათ; რაზედაც ნაბრძანებია უმთავრეს ჩემს დივნებს ჩასწარონ დაფთარში.“ თვე რედაჯებ 1157 წ. ხიდაჯრა (1744 წ.).

ნაწილი წერილისა კახეთის მეფე თეიმურაზ I რუსეთის მეფე მიხაილ ფეოდორეს ძისადმი [1]) 1639 წლიდგან შესახებ მდგომარეობისა საქართველოს ეკლესიისა და მის დამოკიდებულებისა სხვა ეკლესიებთან: „მე ვიბრძვი და ვომობ დღე და ღამე (აგარიანთა წინააღმდეგ), სწერს თეიმურაზი, რომ არ დაიკარგოს და არ მოისპოს ჩემს დროს კეთილ-მსახურ მართლმადიდებელ ქრისტიანთა სარწმუნოება, რადგანაც დადგა უკანასკნელი დრო და თუ არ გვაქვს ჩვენ სრული საეკლესიო წესიერება, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ რა გაეწყობა.

ჩვენ გვაქვს ბევრი კაკლულევანება საეკლესიო წესიერებაში, მაგრამ ცთომილება ქრისტეს მარლთმადიდებელ სარწმუნოებაში სრულიად არა გვაქვს, რადგან ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანთ გვწამს და თაყვანს ვცემთ (მოჰყავს სიტყვები სიმბოლო სარწმუნოებიდან), ჩვენ იმ თავითვე მივიღეთ ქრისტიანული სარწმუნოება მართლმადიდებელ რომაელ (ბერძენთ) მეფეებისაგან და საღმრთო წერილი ჩვენი და (წმ). ნათლისღება; პირველათ გვიქადაგა ჩვენ წმ. ნინო ბერძენმა და ვინაიდგან ახლა მარლთმადიდებელი ქრისტიანენი ბერძნების მეფეებათ აღარ არიან—ჩვენ გვყავს აქამდის 4 მართმადიდებელი პატრიაქნი რომლებიც გვაყენებდნენ ჩვენ და გაგვამტკიცებდენ მართმადიდებელ ქრისტეს სჯულზე და მოდიოდნენ ჩვენთან კონსტანტინოპოლის პატრიარქი უფალი ფეოლიპტი, ანტიოქიის უფალი ნეოფიტი, იერუსალიმის უფალი თეოფანი. რამდენი მიტროპოლიტები, რამდენი იღუმენები და საპატრიარქო არქიმანდრიტები მოდიოდენ და მოდიან ჩვენთან ყოველს დღე წყალობის შესაკრებათ, მაგრამ არც ერთს არ უნახავს რაიმე ცთომილება მართმადიდებელ ჩვენ სარწმუნოებაში. ახლა კი უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მოგვცა ჩვენ თქვენი მეფური უმაღლესობა თავათ და დამტკიცებათ მართმადიდებელ ქრისტეს სჯულისა“...

გარდა აღმოსავლეთის პატრიარქებისა, რომლებიც მოდიოდენ საქართველოში ხშირად, რუსეთის სასულიერო პირებიც ცდილობდენ დაეჯერებინათ ქართველები, რომ მათ დაეცვათ ცნობილი საეკლესიო წესები, შეთანხმებულნი რუსეთის ეკლესიის წესებთან; ასე, მაგალ.. 1589 წ. წავიდა მოსკოვიდან საქართველოში ელჩი თავ. ზვენიგოროდსკი წერილებით რუსეთის პატრიარქ იობისა კახეთის მეფე ალექსანდრესადმი და მიტროპოლიტ ნიკოლოზისადმი და წაიყოლა თან ნასწავლი კაცები, საეკლესიო ჟურნალები, წიგნები, ხატები, საღებავები, მხატვრები... კახეთში ასრულებდენ წირვა-ლოცვას და რუსები და ქართველები ცილობდენ კანკელების ფორმაზე, ტრაპეზზე, ოდიკზე, რომ ყველა ეკლესიებზე არ იყო ჯვრები, რომ ძალიან ადრე აკურთხევდნენ ხოლმე ახალგაზდა მღვდლებს და ეპისკოპოზებს და სხვა. ქართველები უპასუხებდენ, რომ მათ დიდი ხანია მიიღეს ქრისტიანობა კონსტანტინე მოციქულთა სწორის დროს და რომ მათი საეკლესიო წესები ეთანხმებიან წესებს და ჩვეულებებს საბერძნეთ—აღმოსავლე-

[1]) მიწერ-მოწერა ქართველ მეფეთა რუსეთის მეფეებთან, გამოც. სამეცნიერო აკადემიისა, ბროსსეს რედაქტ. ბ. 1861 წ გვ. 7.

თის ეკლესიისას და სხვ. ერთი სიტყვით, მოსვლა აღმოსავლეთის პატრიარქებისა და მასწავლებელ პირთა ჩრდილოეთიდგან და მათი მოღვაწეობა საქართველოში კიდევ არ ნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესია იყო დამორჩილებული მე XVII—XVIII საუკ. რომელიმე გარეშე სასულიერო იურისდიქციისგან. თვითონ ანტიოქიის პატრიარქის მაკარის სიტყვით, რომელმაც მოიარა საქართველო მე XVII საუკ. მეორე ნახევარში: „ადრე (საქართველოს ეკლესია) იყო დამოკიდებული ანტიოქიის პატრიარქისაგან, მაგრამ შემდეგ გახდა ავტოკეფალური და აღმოირჩია თავისი დამოუკიდებელი ქათალიკოსი.“ ასე იწყებს ის თავის მოთხრობას საქართველოზე. (პრავოსლ. სობესედნიკ. 1906 წ. იანვ. გვ. 115)

(შემდეგი იქნება).

ბუნება და ადამიანი.

დასასრული *).

—

არის მეორე აზრიც, რომელიც არსეთათ ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ შეხედულებას. ამ შეხედულების შინაარსი შეიძლება ასე გამოითქვა: ადამიანი არის გონიერი და ნიჭიერი არსება, ბუნება კი მკვდარი და უმოქმედო ნივთიერება. ყველაფერი რაც კი ხდება ცხოვრებაში არის ადამიანის შემოქმედებითი ძალის შედეგი და ბუნება არაფერ შუაშია ამ რთულ საქმეშიო. ბუნების ცვლილება ხდება ერთხელ დაწესებულ კანონებზე და ამას არც ადამიანის ცხოვრებაზე არც ის ტორიაზე გავლენა არა აქვსო.

ეს შეხედულობა მეტი უსაფუძვლოა და იმდენათ მოკლებულია მეცნიერულ ნიადაგს, რომ დაწვრილებით მისი განხილვა და უარყოფა ზედმეტია.

ამგვარად იმ საკითხის შესახებ რა არის ბუნება და ადამიანი და რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის მკაფიოთ გამოთქმულია ორი შეხედულება: ერთი რომ ბუნებასა აქვს დიდი გავლენა ადამიანზე და ადამიანი თუმცა მოქმედობს, მაგრამ მუნების ხელმძღვანელობას ქვეშ იმყოფება და თავისი საკუთარი პიროვნება გამოუჩინარი აქვს, ესე იგი ბუნება არის ბატონი ცხოვრებაში, ხოლო ადამიანი—მონა; მეორე ის, რომ ადამიანი მეფეა ბუნებისა და ბუნებას თავის გემოზე სცვლის და ცხოვრებას თითონ ანვითარებს ქვეყანაზე, ესე იგი ადამიანი არის ბატონი ცხოვრებაში და ბუნება კი ყურმოჭრილი მონა.

ორივე ზემოთ მოყვანილი შეხედულება მოკლებულია სიმართლეს და ჭეშმარიტებას არ შეიცავს. პირველი აზრი გადაჭარბებით აზვიათებს ბუნების გავლენას ადამიანზე და ბუნებას გონიერი, ძლიერი და შემოქმედებითი ძალის მექონ რამეთ ხატავს. მეორე აზრი გადაჭარბებით ამცირებს ბუნების ძალას და ადამიანს ისეთ ძალას ანიჭებს, ვითომც ადამიანი თვისი შემოქმედებითი ნიჭით არარაობისაგან აჩენდეს ყველაფერს.

ჩვენის აზრით კი ნამდვილი ჭეშმარიტი შეხედულება ამ საგანზე შემდეგია. ბუნება და ადამიანი არის ორი მხარე, რომელთა მეოხებით არსებობს ქვეყანაზე ცხოვრება და რომელთა მოქმედებით იგი დღითი-დღე რთულდება და მიდის წინ.

ერთი მხრით არის ბუნება და მეორე მხრით ადამიანი; ბუნება შეიცავს დედამიწას ათასნაირი სხვა და სხვა ნივთიერებით აღვსილს და მზე, მთვარე, ვარსკვლავებით განათებულს. ბუნების მოძრაობა ემორჩილება ბევრნაირ კანონებს, რომელთა მოქმედებაც უცვლელია საუკუნოების განმავლობაში. ადამიანი არის ცოცხალი არსება, რომელსაც აქვს რთული აგებულება და აღჭურვილია ნიჭითა და გონებით. ერთი შეხედვით ბუნება არის დიდი და ძლიერი რამ ადამიანი კი პატარა და სუსტი, ბუნების არსებობისათვის კაცს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბუნება კაცისაგან სრულიად დამოუკიდებელია; სულ სხვაა ადამიანის მდგომარეობა. ადამიანის არსებობა დამოკიდებულია

*) იხ. შინ. ს

ჭ.“ № 2 1911 წ.

ბუნებაზე; ბუნების გარეშე ადამიანის არსებობა შეუძლებელია და რადგან ეს დამოკიდებულება ძლიერია, ამიტომაც; როგორც ზევითა ვსთქვით ერთი შეხედვით ადამიანი ყურ მოჭრილ მონათ გვჩვენება ცხოვრებაში, მაგრამ დაწვრილებით რომ გამოვიკვლიოთ, დავინახავთ, რომ ადამიანი, თუმცა სუსტი და ჰატარა არსებაა ბუნებასთან შედარებით, მაგრამ ისეთი იარაღით არის აღჭურვილი, რომ ბუნებას ეტოქება და ბრძოლას უმართავს.

ადამიანსა და ბუნებას შორის არსებობს დამოკიდებულება და აი ეს დამოკიდებულება არის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენებულია ადამიანის ცხოვრება. ბუნებაშია ბევრგვარი ნივთიერება და საგნები, ესენი ყველა საჭიროა ადამიანის არსებობისათვის, ადამიანსა აქვს მასთანავე ბევრგვარი მოთხოვნილებები, რომელთა დასაკმაყოფილებლათ საჭიროა სხვა და სხვა ნივთიერების შოვნა. ნივთიერებას ანუ საარსებო მასალას ადამიანი ბუნებაში ნახულობს, ითითონ კი ცდილობს ეს მასალა იშოვოს, შეიძინოს და მოიხმაროს. ამგვარათ ადამიანი იწყებს ქვეყანაზე ფიზიკურ მოძრაობას, რომლის პირველი დანიშნულება საზრდოს მოპოება არის, შემდეგ რასაკვირველია სხვა და სხვა მოთხოვნილებათა და სურვილებთა ასრულება. ადამიანის ფიზიკური მოძრაობა ვითარდება, ფართოვდება და ჩდება შრომა რთული და ნაყოფიერი. ამგვარათ საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ. ბუნება აძლევს მიზეზს და იწვევს ადამიანს სამუშაოთ, ადამიანი კი ნიჭით აღჭურვილი მუშაობს, ვარჯიშობს და ვითარდება; ამ მუშაობაში ვითარდება კაცის ნიჭიც. ავიღოთ მცირე მაგალითი. ადამიანი ხედავდა ხეზე ვაშლს, რომ მოეწყვიტა ვაშლი ამისათვის ხეზე ასვლა იყო საჭირო, ან კიბის გაკეთება ან ძირიდან ჯოხით მისი ჩამოგდება. აი ეს საშუალებები ადამიანის ნიჭს უნდა გამოეძებნა, ვაშლი კი ბუნების საკუთრება იყო, ვაშლის შოვნის სურვილიც ადამიანის მოთხოვნილება იყო. ეს მცირე მაგალითი რომ რთულად წარმოვიდგინოთ და ყოველი მოვლენა ადამიანის ცხოვრებისა ასე განვიხილოთ აღმოჩდება, რომ ადამიანი მოქმედებს და მასალას კი ბუნება აძლევს.

ბუნება ერთი მხრით ხელს უწყობს ადამიანს და აძლევს საშვალებას, რომ ადამიანმა იარსებოს და ცხოვრება მოიწყოს ქვეყანაზე. ბუნება აძლევს კაცს ჰაერს და საზრდოს (სასმელ-საჭმელს); ბუნებავე აძლევს კაცს ხან მზა მასალას საცხოვრებელი ბინის ან სხვა საჭიროების მოსაწყობათ, ხან ისეთ ნივთებს, რომლისაგანაც ადამიანი თვისი ხელოვნებით თავის სასარგებლოთ რამეს აკეთებს. მეორე მხრით კი ბუნება ხელს უშლის კაცს ცხოვრებაში და ხშირათ უმიზეზოთ ანუ ადამიანის მხრივ უდანაშაულოთ ჰკლავს კაცს, ან ავათ ხდის, ან ნამუშევარს უნადგურებს და ზარალს აძლევს ასე რომ ბუნება თუ ერთი მხრით მეგობრულათ ექცევა ადამიანს და დახმარებას უწევს ცხოვრებაში, მეორე მხრით მტრულად უხვდება მას და ამარცხებს შეუბრალებლათ.

ბუნებასა და ადამიანს შორის დამოკიდებულობა მეგობრულათ არ შეიძლება ჩავთვალოთ, ვინაიდგან ბუნება ყოველთვის ხელს არ უწყობს ადამიანს და არ ეხმარება ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. ადამიანი ხედავს ბუნების სიმდიდრეს და რომ ისარგებლოს ბუნებით, ამისათვის სწავლობს ბუნება, და მის კანონებს. ბუნების შესწავლა დაიწყო ადამიანმა უხსოვარი დროიდან და ეს სწავლა დღესაც დღითი დღე მატულობს. რამდენათაც უკეთ იცის ადამიანმა ბუნების მდგომარეობა, მისი კანონები და მნიშვნელობა, იმდენათ უფრო ძლიერია ადამიანი და უკეთ ეწყობა ცხოვრებაში. ბუნება ძლიერია და მისი მორევა ანუ შესწავლა ერთი ადამიანისათვის შეუძლებელი და წარმოუდგენელია, მაგრამ ადამიანი შეერთებული მეორესთან და მესამესთან ანუ მთელი ჯგუფი ადამიანებისა ძლიერია და ბუმბერაზ ბუნებას ეტოქება; გონება აძლევს ადამიანს საშვალებას, რომ მან მოაწყოს ქვეყანაზე ორგანიზული ძალა და ეს ძალა შეუწყვეტლათ გაგრძელდეს ცხოვრებაში, გონების საშვალებით ადამიანმა შეადგინა ენა, ენამ შეაერთა ადამიანთა ჯგუფი და ყველამ საზოგადო მუშაობა დაიწყო, ასე რომ შეერთებული მუშაობა ადამიანთა ჯგუფისა ძლიერი და ნაყოფიერი შეიქნა. ერთი ადგილის მცხოვრები ადამიანი მეორე ადგილს

მყოფს დაუახლოვდა და ენის საშვალებით თვისი ნამუშევარი გაუზიარა; ერთი დროის ხალხმა ენის და წერის საშვალებით თვისი შრომა და გამოცდილება მეორე დროის ხალხს გადასცა და ამგვარათ წარმოდგა შეუწყვეტელი კულტურული მუშაობა. კაცობრიობა შეიქნა საერთო და საზოგადო მუშაობის გამომწვევი ძალა და ამგვარათ დროისა და ადგილის მიუხედავათ მთელი კაცობრიობა ერთ ძალათ გადიქცა. ეს ძალა შეებრძოლა ბუნებას და ბრძოლა შეიქნა მეტათ საინტერესო და ნაყოფიერი.

დაკვირვებით და გამოცდილებით ადამიანმა გაიგო ბუნების ძალა და მისი სიმდიდრე, აგრეთვე კანონები და -მ გაგებით ისა შეიარაღდა და თანდათან შეეტოქა ბუნებას.

პირვანდელი უბრალო და მარტივი ცხოვრება ადამიანმა თანდათან შესცვალა და ისარგებლა ბუნების ძალით. ადამიანს უჭირდა საჭმელის გაკეთება, მაგრამ მოიგონა ცეცხლი და ამის საშვალებით ისარგებლა ცეცხლის მასალათ ხე, ისევ ბუნების საკუთრება და თვისი ათასნაირი მოთხოვნილება დაიყმაყოფილა. ადამიანს უჭირდა ფეხით შორს სიარული და დიდი სიმძიმის გადატანა, მან შეიგნო ძალა წყლისა და მეზღვაური გახდა. ამგვარათ ზღვამდინარეები მოსამსახურეთ გაიხადა; სადაც მდინარე არ მიუდგა იქ დამორჩილებული ცხოველები იხმარა და მათი შემწეობით მსუბუქათ აისრულა თავისი მოთხოვნილება. ნოყიერი მიწა უხვათ იძლეოდა ათასნაირ მცენარეს; როცა ადამიანმა იცნო რა მცენარე იყო მისთვის სასარგებლო და რა საზარალო, შემდეგ ბუნებას ხელოვნურად მოამრავლებია სასარგებლო მცენარეები- ამგვარათ ადამიანი დღითიდღე ეცნობოდა ბუნებას, სწავლობდა მის ასავალ დასავალს და ამგვარათ შეიქმნა დაახლოვებული ოსტატი და თვისი ოსტატობით თვით ბუნება გაიხადა მოსამსახურეთ. თუმცა ადამიანს ბუნების შესწავლა და ოსტატობა ძვირათ უჯდება და ეს ასწლობით და ათასწლობით ხერხდებოდა, მაგრამ აქ შრომა და გრძელი ვადა სახეში მისაღები არ არის, საქმე იმაშია, რომ ასე იყო თუ ისე, ადამიანი მოქმედი ძალა შეიქნა და ბუნება სასარგებლოთ გამოიყენა და რაც სახიფათო იყო ბუნებაში, მისგან ასაცდენი საშვალებებიც გამოსძებნა; რომ გადავავლოთ თვალი ადამიანის არსებობის ხანას და მთელი ისტორია წარმოვიდგინოთ თვალ წინ, დავინახავთ რომ ადამიანი ბუნებას ეტოქება. ბუნებაში ათასი საიდუმლო ძალაა, ბუნება უზღვავი სიმდიდრის მექონი საუნჯეა და რამდენიმე ბუნების მოვლენა მეტი საშიში და მომსპობია ადამიანისა, მაგრამ ადამიანი ნიჭისა და გონების მეოხებით ოსტატურათ ექცევა ბუნებას, იგებს მის საიდუმლოებას, აჩენს მის სიმდიდრეს, საფარს უკეთებს მის დამაქცევარ საშიშ ძალებს და თანდათან ბუნებას იმორჩილებს.

ამგვარათ ადამიანი ადრიდგანვე მიხვდა თავის მოვალეობას ესე იგი იმას, რომ ის უნდა შეწყობოდა ბუნებას, მაგრამ ისე კი არა, რომ დამორჩილებოდა მას, არამედ ისე, რომ თავისი კეთილდღეობისთვის ბუნებავე მოეხმარა და ემსახურნა. კაცობრიობა ამ დანიშნულებას მისდევს ისტორიის დასაწყისიდანვე და დღესაც ამ გზას ადგია. დღევანდელი განვითარებული ტეხნიკა და ათასგვარი გაუმჯობესებული მაშინები, რომელთა წყალობით ადამიანმა შეიმსუბუქა თვისი შრომა, ცხადათ ამტკიცებს, რომ კაცობრიობა დღითი დღე მიდის წინ ბუნებასთან ბრძოლაში და ყოველი გამოგონება არის წინ ნაბიჯის გადადგმა ამ გზაზე. რამდენ ახალ მანქანას შეიძენს კაცობრიობა, იმდენათ უფრო ძლიერდება ბუნებასთან ბრძოლაში და ყოველი ახალი მანქანით ადამიანი თითქმის ეუბნება ბუნებას: **„ეს კიდევ ერთი საბუთია, რომ მე შენ გჯობნიო“**. დღეს ადამიანის მისწრაფება სწორეთ ისაა, რომ რაც შეიძლება დაწვრილებით და ეჯერთათ შეისწავლოს ბუნება, გაიგოს მისი საიდუმლოები, ისარგებლოს მისი სიმდიდრით და თითქმის მონათ გაიხადოს იგი. უმეტესი ნაწილი თვისი ფიზიკური შრომისა ბუნებას დაავალა განათლებულმა და ტეხნიკური ცოდნით აღჭურვილმა კაცმა, მაგრამ ამას არა კმარობს და იმას ცდილობს, რომ თითონ გაბატონდეს და ბუნება სრულ მონათ გაიხადოს.

ტ. ჯაფარიძე.

ფალმა-უკულმა.

(გაგრძელება).

ამ ოჯახში დააბინავა მერაბიკამ შვილი და დიდად იმედ-მოცემული გამობრუნდა შინ. ის ასნაირ ოცნებებით სტკბებოდა, რომ შვილს ძვირფასი ადგილი მოუპოვა, ორი—სამი თვის შემდეგ ჯამაგირიც დაენიშნებოდა, მისი ჯამაგიროსანი შვილი მასაც ფულს ბლომად გამოუგზავნიდა, ის კაი ცხენსა და უნაგირს იყიდიდა, კარგად ჩაიცვამ—დაიხურავდა და შვილიც ხომ თავის—თავად დიდი კაცი გამოვიდოდა... მერაბიკას თავში ერთიც არ გაჭაჭანებულა აზრი, რომ მან შვილი გახრწნილების მორევში გადაისროლა და იმისი მომავალი უფრო საეჭვო იყო, ვიდრე სანუგეშო.

გამოთქმაც არ შეიძლებოდა, თუ რა აღტაცებაში იყო კოლია მოსული. სოფლის ღარიბი ოჯახის შვილს წარმოდგენილიც არ ჰქონდა, რომ ამდენი სიმდიდრის პატრონი შეიძლებოდა კაცი გამხდარიყო... დიდი—ვებერთელა, ქვის-შენობა, ორ-სართულიანი სახლი, ჰატარა, მაგრამ საკვირველი მცენარეებით გაშენებული ეზო, უცნაურად მორთული ოთახები, ოქრო-ვერცხლი, თვალ—მარგალიტები, პიანინო—ფორთოფიანები და ათასგვარი სიმდიდრე კოლიას უჩვეულო თვალებს სიზმარივით ეჩვენებოდა.

კოლიას მდგომარეობა უეცრად შეიცვალა. მას ახალი და შესაფერი ტანისამოსი შეუკერეს და ერთ მოსამსახურე ბიჭთაგანს დაავალეს, რომ ის ეტარებია, სადაც საჭირო იყო და ესწავლებია ქუჩები, სახლები, სავაჭრო ადგილები და სხ., სადაც მათ ეპირვებოდათ ბიჭის გაგზავნ-გამოგზავნა... გარდა ამისა კოლიას სამზარეულოშიაც ჰქონდა სამსახური მიჩენილი, რასაც ერთგულათ ასრულებდა. ამ ყოფით კოლიამ ხუთი თვე გაატარა ნიკოსთან კმაყოფილებით. ის ძალიან მადლიერი იყო თავის ბედის, რომ ასეთს დოვლათიან ოჯახში გაუჩნდა ბინა... სახიერებითაც გამოიცვალა: სოფლის ბიჭი, რომელიც ცარიელ მჭადზედაც კმაყოფილი იყო და ზაფხულობით არც იმას ხარჯავდა ბევრს, რადგანაც უფრო ხილეულობით იკვებებოდა, ერთობ გამხდარ—უფერული იყო და ცივებისაგან თვალები ამოყვითლებული ჰქონდა, რის გამო ძალიან კარგად გასუქდა და ლოყებზე წითელი ფერი ცისარტყელასავით გაეკრა. ის ისე გალამაზდა და ცქრიალა ყმაწვილი დადგა, რომ ყურადღების მიქცევაც დაუწყეს. გარდა ამისა ის ძალიან კარგადაც გაეცნო იმ ხალხს, რომელშიაც წამ და უწუმ უხდებოდა ტრიალი.

სონია ივანოვნამ (ნიკოს ცოლია) ერთ დილას კოლია დაიბარა თავის საწოლ ოთახში და ამ დროს ნიკოც იქ იყო. კოლია მოწიწებით წარსდგა მის წინ. ის ელოდა ბრძანებას, მაგრამ სანამ ქალი რამეს ეტყოდა, იმის თვალებს განსაცვიფრებელი ოთახის მორთულობა წარმოუდგა. მან გამოშტერებული თვალებით დაუწყო თვალიერება უცხო სანახაობას და არ იცოდა, რომელ ერთ სამკაულობაზე შეჩერებულიყო, რომ გამაძღარიყო იმისი მზერით. ამ ოთახში ის ჯერ არ შესულიყო და, რა თქმა უნდა, არც ამგვარი მორთულობაები ენახა, რომელნიც ამ ბედნიერი ადამიანის საწოლ-ოთახს ამშვენებდნენ... სამი ოთახი, ჩინებული არხიტეკტურით იყო ერთი მეორეზე გადაბმული. შიგნითა კარები არც ერთს არ ჰქონდა და კარების ადგილზე ძვირფასი ფარჩის ფარდები იყო დაკიდებული. ერთი ამ ოთახთაგანი, სადაც კოლია თავის ქალ-ბატონის წინ ატუზულიყო ბრძანების მოსასმენად, ორი სხვისგან მეტად განირჩეოდა: კედლები ამ ოთახისა გარშემო შემოკრული იყო ძვირფასი, ბორდოს ფერი, სხვა და სხვა ვარდ—ყვავილებ ამოყვანილი აბრეშუმის ხავერდით, რომელიც ჭერიდან იატაკამდის ეკიდა ძვირფასივე ფოლაქებით დამაგრებული; ძვირფასივე „კრავატი", თვალთ-წარმტაცი საგებსახურავით იყო მორთული; ამაზე ცოტა მოშორებით იდგა პირველ-ხარისხოვანი ხელოსნის ხელით გაკეთებული სამწერლო სტოლი, რომელზედაც სამწერლო მორთულობას და მწერლობისათვის სრულიად უმნიშვნელო მოწყობილებებს იმდენად მოეკავებიათ იდგილი,

რომ ნამდვილი ამ სტოლის დანიშნულებისათვის სულ ცოტა ადგილი იყო დარჩენილი; ფანჯარასთან იდგა, ძვირფასი დასაფარებელით დახურული სტოლი და ამაზე ჟურნალ—გაზეთები ეყარა; ერთს კუთხეში იდგა მარმარილოს ქვის ფიცარ დაკრული სტოლი, რომელზედაც დიდი სარკე იყო წამოყუდებული. ეს სტოლი კედელზე და იატაკზედაც ვინტებით იყო მიმაგრებული. მთელი ოთახი უძვირფასესი ხალებით იყო მოგებული და ძვირფას სალტეებში ჩამჯდარი სურათები ამშვენებდენ ოთახის კედლებს. მეორე—შეადგენდა ნიკოს საწოლ ოთახს; ისიც დიდებულად იყო მორთული და მესამე კი სონია ივანოვნას მოსართობი ოთახი იყო, სადაც ერთგან მარმალილოს ქვით დამშვენებული პირსაბანი იდგა და სხვაგან კარგა-მოზრდილი სტოლი, რომელიც სხვა და სხვა „დუხებით“, საღებავი და პირის მოსართავ—მოსაკაზმავი წამლებით იყო სავსე; ერთს კუთხეში იდგა ვეებერთელა განჯინა, რომელშიაც ძლივს ეტეოდა ქალის ფარჩა—აბრეშუმეულობის ტანისამოსი; სხვა მორთულობა არც ამ ოთახს აკლდა. პირსაბანზე ჩამოწკრიკვებული იყო ექვს-გვარი სხვა და სხვა ღირსების საპნები... სწორეთ ნერვების ამშლელი მოქმედება ჰქონდა სონია ივანოვნას მორთვა—მოკაზმას. ხელ-პირის ბანაში არ შეიძლებოდა თითოეული საპონთაგანი არ ეხმარა, ესე იგი, ექვსჯერ არ დაებანა ხელ-პირი, რასაც ერთობ დიდი დრო სჭირდებოდა, მაგრამ სამი ამდენი დრო სხვა და სხვა სურნელოვანი წამლების და დუხების ხმარებას ეჭირვებოდა და ერთად ამდენივე დრო სჭირდებოდა ჩაცმა—დახურვასაც, რასაც თან მოსდევდა მის „საბრძანებელ—სავაჭროში“, საკუთარი ეტლით წაბრძანება, ანგარიშის საწარმოებლად.

(შემდეგი იქნება).

ვ. წუთისოფლელი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

განცხადებანი.

„შინაურ საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროსის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (вѣдомости) წლიური საბლალოჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „ძმობის“ გამოცემაა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწეული 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно-просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

Открыта ПОДПИСКА на 1911-й г. НА художеств., литературн., популярно-научный ЖУРНАЛЪ

ВЕСЪ МІРЪ

ЗА ГОДЪ 52 №№
Содержитъ до
5000 ст. ТЕКСТА И ИЛЛЮСТРАЦІЙ
БЕЗПЛАТНО КНИГА
1600 ст. текста 863 иллюстраціи.

на 12 мѣсяцевъ 5 р., на 6 мѣсяцевъ 2 р. 50 к., на 3 мѣсяца 1 р. 25 к.
ВЕСЪ МІРЪ выходитъ еженед., содержитъ въ каждомъ № 96 ст. текста и иллюстрацій, печат. на веленовой бумагѣ, въ очень плот. обложкѣ.

Годъ изд. 2-й

Первые №№ журнала ВЕСЪ МІРЪ расходились въ количествѣ 4—5 тис. каждый № Послѣдніе №№ журнала ВЕСЪ МІРЪ расходились въ количествѣ 53.000 екз.

ВЕСЪ МІРЪ составитъ за годъ огромный томъ въ 5000 ст. текста и иллюстрацій и на ряду съ обширной библіотечкой вполнѣ законченныхъ разск., стихот. и иллюстрирован. популярно-научныхъ очерковъ, явится иллюстрир. хроникой событій за весь годъ.

Съ Ноября 1910 г. въ журналѣ печатается особый отдѣлъ ДѢТСКІЙ МІРЪ содержащій игры, забавы, фокусы загадки, задачи—все на преміи.

Первый листъ (8 полосъ) журнала ВЕСЪ МІРЪ представляетъ иллюстрированную хронику событій а недѣлю и составляется по рисункамъ и фотографіямъ художниковъ и фотографовъ журнала.

Въ литературномъ отдѣлѣ журнала ВЕСЪ МІРЪ въ 1910 г. печатали свои разсказы и стихотворенія преимущественно иллюстрированные: К. С. Баранцевичъ, Р. В. Бодуэнъ де Куртсиэ, А. С. Бенедиктъ, Ю. Д. Бѣляевъ, И. М. Василевскій, В. Н. Гординъ. П. П. Гнѣдичъ, С. М. Городецкій, А. С. Гринъ, В. П. Далматовъ, А. Н. Каменскій, Б. А. Лазаревскій, Владиміръ Ленскій, В. А. Мазуркевичъ, И. Н. Петашенко, А. С. Рославлевъ, С. Г. Скиталецъ (Петровъ), В. А. Тихановъ, Дмитрій Цензоръ и др. На ряду съ этимъ печатались иллюстрированные разсказы лучшихъ иностранныхъ писателей.

въ ПОПУЛЯРНО-НАУЧНОМЪ отдѣлѣ печатались иллюстрированные очерки по всѣмъ отраслямъ знанія, имѣющіе интересъ момента.

Особый иллюстрированный отдѣлъ посвященъ ТЕАТРУ И МУЗЫКѢ

Въ 1911 году журналъ ВЕСЪ МІРЪ будетъ издаваться по той же прогр, и при участіи тѣхъ же сотрудниковъ.

гг. подписчики на 1911 г. получатъ НЕБЫВАЛУЮ ПРЕМІЮ:
книгу, содержащую 1600 ст. текста съ 863 иллюстр.,

ВСЕЛЕННАЯ И ЧЕЛОВѢЧЕСТВО форматъ книги—размѣръ журнала ВЕСЪ МІРЪ.

Полный переводъ съ послѣдняго нѣмец. изд. ТРИ ТОМА стоющіе въ отд. прод. 33 р. ДАРОМЪ въ одномъ томѣ. Книга выдается съ 20 Декабря 1910 г. ПРИ ПОДПИСКѢ всѣмъ внѣсшимъ подписную плату (5 р.). Подписавшимся въ разсрочку, книга выдается по внесеніи полной годовой платы.

Вѣсъ книги (8 ф.), не допускаетъ ея пересылки при журналѣ. Въ виду этого, книга выдается безъ всякой доплаты только въ Петербургѣ. За доставку на домъ повсемѣстно приплачивается 1 р. 35 к. (всего 6 р. 35 к.) за упаковку и перес.

на 1911 г. журналомъ ВЕСЪ МІРЪ объявленъ КОНКУРСЪ

на премію въ 1000 руб. за лучшій расказъ своего подписчика.

Участниками и судьями конкурса являются всѣ Гг. подписчики журнала ВЕСЪ МІРЪ Подробныя условія конкурса въ декабрскихъ №№ журнала „Весь Міръ".

ДЛЯ КНИГИ Вселенная и Человѣчество изготовлены роскошные КРЫШКИ—ПЕРЕПЛЕТЫ. Точный снимокъ приложенъ къ каждой книгѣ. Подписка принимается во всѣхъ книжн. магазинахъ, въ Главной Конторѣ журнала „Весь Міръ": С. Петербургъ, 5 лин., 54, фабрика Коммерціи Совѣтника Н. В. Гаевскаго и въ магазинахъ Н. В. Гаевскаго въ С.-Петербургѣ 1) Литейный пр., 28. 2) Садовая ул. 22.

Редакторъ-Издатель: Коммерціи Совѣтникъ Н. В. Гаевскій.

Типографія Хеладзе въ Кутаисѣ.